

თანატოლოგიური მოტივები მხატვრულ ლიტერატურაში

მაია ქარდავა

ფილოლოგიის დოქტორი, შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი

E-mail: kardavamaiko47@gmail.com

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ ოთარ ჭურღულიას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა

აბსტრაქტი. ყველაზე გამოზრდილი და ნათელი გონებაც კი კრთება სიკვდილთან შეხვედრის დროს. ვერც ერთი სამეცნიერო ხარისხი და პროფესიონალური სერტიფიკატი არ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ჩვენ შევძლებთ ღიად, დელიკატურად, შიშის გარეშე ვისაუბროთ სიკვდილზე. დღეს მეცნიერებაში ვხედავთ ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთგანმსაზღვრელ პროცესს, რომლებიც ანვითარებენ და ამდიდრებენ კაცობრიულ ცოდნას. მოხდა ლიტმცოდნეობით მეცნიერებათა დიფერენციაცია, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო პოზიტივიზმით. დღეს, თანამედროვე მკვლევარი იკვლევს და მუშაობს ერთ ან რამდენიმე სფეროში და ინტერესდება კვლევის რამდენიმე ობიექტით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება მეცნიერულ ცოდნათა ინტეგრაცია, ძლიერდება დისციპლინათშორისი კავშირები. ბუნებისმეტყველებითი კვლევები ეყრდნობიან ფილოსოფიურ საფუძვლებს, ეძებენ ეგზისტენციალურ ქვეტექსებს, ხოლო ჰუმანიტარული მიისწრაფვიან სიზუსტისა და კანონთა ფორმულირებისაკენ. შემეცნების ჰორიზონტი უსაზღვროა, მაგრამ შეიძლება გავჩერდეთ იმ წრეზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია კაცობრიობისათვის. მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი წერდა: „საკმარისია მხოლოდ იმ რამდენიმე ტერმინის შესწავლა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ევროპულ ცხოვრებაზეო“ (ლ.ფევრე, 1991: 239). რა თემები და ტერმინები, კონსტანტები და კონცეპტები, სიუჟეტები და მოტივებია ესენი? ეს მდგრადი აზრები, ქვაკუთხედები ადამიანური მენტალობაა, რომლებიც ტრანსფორმირდნენ საუკუნეების განმავლობაში: „ადამიანი“, „სიცოცხლე“,

„სიკვდილი“, „სამყარო“, „დრო“... ბევრი მათგანი უკვე ანთროპოლოგიის, ესთეტიკის, კულტოლოგიის, სოციოლოგიის შესწავლის საგანია. ეს ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთ მათგანს თემებიდან - „სიკვდილს“ და ერთ-ერთ დისციპლინას - თანატოლოგიას.

საკვანძო სიტყვები: თანატოლოგია, თანატოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობა, სემიოტიკა, ტერენტი გრანელი, ეგზისტენციალიზმი.

ყველაზე გამობრძმედილი და ნათელი გონებაც კრთება სიკვდილთან შეხვედრის დროს. ვერც ერთი სამეცნიერო ხარისხი და პროფესიონალური სერთიფიკატი არ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ჩვენ შევძლებთ ღიად, დელიკატურად, შიშის გარეშე ვისაუბროთ სიკვდილზე.

დღეს მეცნიერებაში ვხედავთ ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთგანმსაზღვრელ პროცესს, რომლებიც ავითარებენ და ამდიდრებენ კაცობრიულ ცოდნას. მოხდა ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებათა დიფერენციაცია, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო პოზიტივიზმით. დღეს, თანამედროვე მკვლევარი იკვლევს და მუშაობს ერთ ან რამდენიმე სფეროში და ინტერესდება კვლევის რამდენიმე ობიექტით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება მეცნიერულ ცოდნათა ინტეგრაცია, ძლიერდება დისციპლინათაშორისი კავშირები. ბუნებისმეტყველებითი კვლევები ეყრდნობიან ფილოსოფიურ საფუძვლებს, ეძებენ ეგზისტენციალურ ქვეტექსტებს, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებები - მიისწრაფვიან სიზუსტისა და კანონთა ფორმულირებისკენ.

შემეცნების ჰორიზონტი უსაზღვროა, მაგრამ შეიძლება გავჩერდეთ იმ წრეზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის.

მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი ლუსიენ ფევრი წერდა: „საკმარისია მხოლოდ იმ რადენიმე მეცნიერული ტერმინის შესწავლა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ევროპულ ცხოვრებაზეო“ [ლ.ფევრი, 1991: 239].

რა თემები და ტერმინები, კონსტანტები და კონცეპტები, სიუჟეტები და მოტივებია ესენი?

ეს მდგრადი აზრები, ქვაკუთხედები, ადამიანური მენტალობაა, რომლებიც ტრანსფორმირდნენ საუკუნეების განმავლობაში: „ადამიანი“, „სიცოცხლე“, „სიკვდილი“. „სამყარო“, „დრო“... ბევრი მათგანი უკვე არის ანთროპოლოგიის, ესთეტიკის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის შესწავლის საგანი.

ეს ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთ მათგანს ამ თემებიდან - „სიკვდილს“ და ერთ-ერთ დისციპლინას - თანატოლოგიას.

სიკვდილის პრობლემა, როგორც ონტოლოგიური რეფლექსის ერთ-ერთი მიმართულება, პერმანენტულად იყო სოკრატეს, ეპიკურეს, იოანე დამასკელის, ნეტარი ავგუსტინეს, მარტინ ლუთერის, ბლეზ პასკალის, ჰეგელის, შოპენჰაუერის, ნიცშეს, ჰაიდეგერის, კამიუს და სხვათა შესწავლის საგანი.

თანამედროვე მეცნიერება სიკვდილზე - თანატოლოგია, ზოგად დისციპლინურია და მოიცავს კვლევათა ფართო სპექტრს, მაგრამ ადამიანის გარდაცვალება იმდენად დიდი საიდუმლოებაა, რომ მისი შესწავლისას ჩვენ ვერ დავეყრდნობით მეცნიერულ პრიორიტეტებს - პირიქით წინა პლანზე გამოდიან ჰუმანიტარული დისციპლინები, რომლებიც მუდმივად ეხებიან ირაციონალურ და ირეალური ხასიათის პრობლემებს, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობაში.

ლიტერატურათმცოდნეობას გააჩნია ძლიერი კვლევითი ტრადიციები, ფორმირებული ტერმინოლოგიით და მეთოდოლოგიური ბაზით. მას შეუძლია შესთავაზოს თანატოლოგიას, ამ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებას, მეცნიერულ პრობლემათა გადაჭრის საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენთვის ამ ნაშრომზე მუშაობისას ინსპირაცია გახდა არისტოტელეს, აუერბახის, შკლოვსკის, ტომაშევსკის, ბახტინის, ბარტის და სხვათა თეორიული და ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომები.

თანატოლოგიის და ლიტერატურათმცოდნეობის შერწყმით საფუძველი დაედო ახალ ზოგადდისციპლინარულ მიმართულებას - თანატოლოგიურ ლიტერატურათმცოდნეობას.

თანატოლოგიური ინფორმაციის ძირითად წყაროდ გვევლინება მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ავტორის შთაგონებაზე დამყარებული, საშუალებას გვაძლევს მივუახლოვდეთ წინა თაობათა თანატოლოგიურ ცოდნა-შემეცნებას. შევისწავლოთ სიკვდილისა და ირეალური სამყაროს სხვადასხვა მოდელები.

ზოგადად, კი ლიტერატურათმცოდნეობით თანატოლოგიას სურს განსაზღვროს, რომ ტერმინები: „ლიტერატურათმცოდნეობითი თანატოლოგია“ და „თანატოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობა“ არის სამუშაო ტერმინები და არა საბოლოოდ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული.

ლიტერატურათმცოდნეობა წარმოადგენს ვრცელ და რთულ მეცნიერებას, ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია შევხვით თანატოლოგიური პრობლემების ყველა სპექტრს, ამიტომაც ათვლის წერტილი ამ ნაშრომისთვის არის - მოტივის თეორია.

ჯერ ერთი, მოტივი მთლიანად მოიცავს ნებისმიერ ლიტერატურულ ელემენტს, მეორეც, ის არის სემანტიკურ-სტრუქტურული კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსს, ნარაციულ სტრუქტურას, სიუჟეტს, პერსონაჟებს, დრო-სივრცულ ელემენტს.

მესამე, სემიოტიკური თვალსაზრისით, მოტივი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ლიტერატურათმცოდნეობაში, თავისი სემანტიკით, რეპრეზენტაციით, სინტაგმატიკით, პარადიგმატიკით, პრაგმატიკით.

მეოთხე, მას გააჩნია დიქტომიური ბუნება და გამოდგება, როგორც სტრუქტურული ჰიპოთეზების, ძირითადი და არაძირითადი ინვარიანტების და ვარიაციების შესასწავლად. სტრუქტურალიზმმა, როგორც სკოლამ და მეთოდმა თავისი კანონზომიერებებით ჰუმანიტარული ცოდნა აიყვანა უფრო მაღალ, ახალ საფეხურზე.

მოცემული ნაშრომის აქტუალობა განსაზღვრა რამდენიმე ფაქტორმა, კერძოდ, თანატოლოგიური მოტივების პრობლემატიკამ და მისმა სტრუქტურულმა და სემიოტიკურმა ანალიზმმა.

თანატოლოგიური პრობლემების მხატვრულ ლიტერატურაში განსაზღვრისთვის აუცილებელია:

ლიტერატურისმცოდნეობითი თანატოლოგიის ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

თანატოლოგიის, როგორც მეცნიერების ძირითადი ეტაპების ჩამოყალიბება.

ლიტერატურათმცოდნეობითი თანატოლოგიის ძირითადი მიზნების და ამოცანების, სტრუქტურის განსაზღვრა.

უკვე არსებულ თანატოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით ტერმინოლოგიური აპარატისა და თანატოლოგიის თეორიული პრობლემების განსაზღვრა ლიტერატურაში.

თანატოლოგიური მოტივების შედარება სხვა ლიტერატურულ ელემენტებთან.

თანატოლოგიური მოტივების კლასიფიცირება.

სემანტიკის ფორმირების კანონზომიერება თანატოლოგიურ ელემენტებში და მის რეპრეზენტაციებში.

თანატოლოგიურ მოტივებსა და მხატვრულ ტექსტს, მკითხველსა და არქექტიპებს შორის არსებული კავშირების გაანალიზება.

თანატოლოგიური მოტივების სტრუქტურული მხარეების გამოყოფა, მათი როლის განსაზღვრა სემანტიკისა და პოეტიკის განვითარებაში.

თანატოლოგიური ელემენტების და სხვადასხვა მხატვრული პარადიგმების ურთიერთქმედების დახასიათება (ლიტერატურის გვარები, მხატვრული მეტყველება, პოეტიკის ტიპები, მიმართულებები, მხატვრული ტექსტის სტრუქტურა).

თანატოლოგიური ელემენტების გაფორმების ესთეტიკური ფორმების გამოვლინება განსხვავებული ესთეტიკური კატეგორიებით და მხატვრული მოდუსებით (რეალურისა და ირეალურის, ამაღლებულისა და დაცემულის, ტრაგიკულის და კომიკურის, მშვენიერებისა და სიმახინჯის).

მითითება იმისა, თუ როგორ ახდენს თანატოლოგიური ელემენტი გავლენას მკითხველზე, ლიტერატურულ ყოფაზე და საზოგადოებაზე.

ერთი სიტყვით, ნაშრომის შესწავლის ობიექტია თანატოლოგიური მოტივების შემოსვლა მხატვრულ ლიტერატურაში, რომლებიც შეიძლება ასახულნი იყვნენ ნებისმიერი ელემენტებით: პრედიკატიული სტრუქტურებით, სემიოტიკური კომპონენტებით, თანატოლოგიური სემანტიკით.

ნაშრომში განსხვავებული ხერხებითა და მეთოდებით ხდება სხვადასხვა ამოცანის გადაჭრა, რომლის საფუძველიცაა სემიოტიკური მიდგომა, ტერმინოლოგია და მეთოდები, რომლებიც შეიმუშავეს სოსიურმა, ბარტმა, ლიუტმანმა....

თანატოლოგიური ელემენტები ჩვენ გვესახება, როგორც ნიშნები, რომელთაც გააჩნიათ სემანტიკური, სინტაქსური, პრაგმატული, პარადიგმული ასპექტები, შინარსისა და გამოსახვის გეგმა.

ჩვენს მიერ თანატოლოგიური მეთოდი განიხილება, როგორც მრავალპლანიანი სტრუქტურა, რომელიც დიოქრომულად აერთიანებს თავის თავში ინვარიანტს და მის ვარიაციებს, განსაზღვრულს და განმსაზღვრელს, პრედიკატებს, აქტანტებს და სირკონსტატებს.

თანატოლოგიური მოტივების, სტრუქტურის ანალიზი ჩართულია ნარატივში, სიუჟეტში, ტექსტში. მხატვრულ ნაწარმოებში თითოეულ კომპონენტს გააჩნია გარკვეული ფუნქცია და იკავებს გარკვეულ ადგილს ფუნქციონალური მიდგომით. თანატოლოგიური მიდგომა კი ერთ-ერთი ძირეულია ლიტერატურის თეორიაში, ის ტექსტის ანალიტიკური გაზრების ერთ-ერთი საშუალებაა. თანატოლოგიური ელემენტების ტიპოლოგიზაცია განსაზღვრავს მხატვრული ტექსტის შინაგან ლოგიკას. ამ მხრივ ძალიან საინტერესო იყო ლიტერატურათმცოდნეობითი თანატოლოგიის, როგორც მეთოდის ასახვა ჰოფმანის, ბახტინის, გადამერის შრომებში.

ქართულ სინამდვილეში თანატოლოგიური მოტივები და ელემენტები ყველაზე მეტად ტერენტი გრანელის შემოქმედებაშია გამოხატული, მისი „ემენტო მორი“, ეს თანატოლოგიური მანიფესტია გარკვეულწილად.

ტერენტი გრანელისთვის გრძნობად-მატერიალური სამყარო უხეში ფორმით ვლინდება და ეწინააღმდეგება ასტრალურ ყოფიერებას.

„მაღლა აფრენა მე მოვინდომე

რადგან მიწაზე სული არ იცდის“...

„ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე..“

„ახლაც გარშემო სიჩუმე რეკავს,

როგორც ქალწულის მძიმე გოდება,

ო, სიყვითლეა, სიყვითლე ყველგან

და მეც სიკვდილი მიახლოვდება.

[ტ.გრანელი, 1988: 12-18-22].

ესთეტიკური გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მხატვრული ტექსტისა და არსებული რეალობის ურთიერთქმედება და გამომსახველობის პრობლემა ზოგიერთ მოტივში. მხატვრული ლიტერატურის დაყოფას მიმეტიკურ და ფანტასტიკურ ნაწილებად განსაზღვრავს, სწორედ რეალური და ირეალური თანატოლოგიური მოტივების თანაფარდობა. თანატოლოგიური მოტივების ცვალებადობა კი იმ იდეოლოგიური დისკურსებითაა განსაზღვრული, რომლებიც გავლენას ახდენენ ესთეტიკის სფეროსა და ისტორიის კომპრეტულ პერიოდებზე.

თანატოლოგიური მოტივები კონტექსტში აუცილებლად ერწყმიან სხვა კატეგორიებს: მდაბალს, ყოფითს, ყოველდღიურს, უმნიშვნელოს, შეზღუდულს... არასასიამოვნო თემებს, პერსონაჟებს და ქმედებებს. თანატოლოგიური მოტივის საჩვენებელი ტიპი კომიკური მოდუსი და მისი ნაირსახეობებია: სატირა, იუმორი, ირონია, პაროდია, გროტესკი... ზოგჯერ სიკვდილის ფენომენი ადამიანისა და საზოგადოებისთვის შეიძლება გახდეს დაცინვისა და ლუსტრაციის საბაზი. თანატოლოგიურ მოტივებს არ გააჩნიათ ეგზისტენციალური საწყისი, ამიტომ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მხატვრულ ტექსტებში თანატოლოგიური მოტივებისა და ესთეტიკური კატეგორიების ურთიერთქმედება ორხრივი და ურთიერთგანმსაზღვრელია. ერთი მხრივ, ესთეტიკური დისკურსები ლიტერატურულ ელემენტებს ამდიდრებენ გამოხატვის საშუალებებით, სპეციფიკური კონოტატიური სემანტიკით და ახდენენ მათ ადაპტირებას ამა თუ იმ ისტორიულ, იდეოლოგიურ თუ მხატვრულ პარადიგმებთან. მეორე მხრივ თანატოლოგიური მოტივები თვითონ ქმნიან განსაზღვრულ მხატვრულ მოდუსებს, ზემოქმედებენ კონკრეტულ ჟანრულ ფორმებზე, მათ ჩამოყალიბებასა და დაფუძნებაში.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში თანატოლოგიის არსი ორმხრივია.

ის სამეცნიერო დისციპლინაა.

ობიექტურ-საგნობრივი სფერო, რომელსაც იკვლევს სწორედ ეს სამეცნიერო დისციპლინა - ჰუმანიტარული თანატოლოგიაა, მეცნიერება სიკვდილის ფენომენის

ზოგადკულტურულ გააზრებაზე, რომელიც იკვლევს მხატვრულ თანატოლოვას მსოფლიო ლიტერატურაში.

ლიტერატურათმცოდნეობითი თანატოლოვია ჰუმანიტარული თანატოლოვის ნაწილია, რომელსაც გააჩნია თავისი ამოცანები, სტრუქტურა, ტერმინოლოგიური აპარატი, მეთოდოლოგია, ისტორია და პერსპექტივები.

თანატოლოგიური ელემენტების სპეციფიკასთანაა დაკავშირებული კაცობრიობის გლობალური ეგზისტენციალური პრობლემები, რომლებიც ეძებენ სიკვდილის ფენომენის დაძლევის გზას და ებრძვიან მისით გამოწვეულ შიშს.

თანატოლოგიური მოტივების გამოხატვა დამოკიდებულია ამა თუ იმ მხატვრული მოდუსის ესთეტიკურ კონტექსტზე. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა რეალური (მიმეტური) და ირეალური (ფანტასტიკური), რეპრეზენტაციები. წარმოიშობა კავშირები ეპიკურ და ტრაგიკულ თანატოლოგიურ ელემენტებს შორის. ლიტერატურის ისტორიაში არსებობს სიკვდილის გამოხატვის ამალღებული, იდილიური, კოიკური და ტრაგიკული ხერხები. მხატვრული მოდუსი გავლენას ახდენს თანატოლოგიური ელემენტების სხვადასხვა მხარეზე: პრაგმატულზე, სემანტიკურსა და სინტაქსურზე.

თანატოლოგიურ მოტივებს გააჩნიათ პრაგმატული თვისებები და ნაწარმოებთა კონტექსტთან ერთიანობაში ზემოქმედებენ მკითხველის ესთეტიკაზე და გარკვეულწილად ადამიანთა სოციალურ ქცევაზეც.

კულტურას და ლიტერატურაში განსაკუთრებული ფენომენია მწერლის სიკვდილი, როგორც მემორიალური ტექსტების მაპროვაცირებელი მოვლენა, რომლის დროსაც იცვლება მხატვრული პარადიგმები.

თანამედროვე მეცნიერება სიკვდილზე (თანატოლოგია) დისციპლინათშორისი და მოცულობითია. ადამიანის სიკვდილი იმდენად საიდუმლოებრივია, რომ მისი შესწავლისას პრიორიტეტული არასაბუნებისმეტყველო მეცნიერებები, არამედ ჰუმანიტარული დისციპლინებია, რომლებიც მუდმივად სწავლობენ ირაციონალური და ირეალური ხასიათის პრობლემებს, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობაშიც.

ლიტერატურა:

1. ლ.ფევრე. კონგნიტური ლინგვისტიკა, მოსკოვი, 1991
2. ი.სტეჰანოვი. ლიტერატურულ - სასაუბრო ლექსიკონი, მოსკოვი, 1997
3. სიტყვებისა და მოტივების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2008
4. ტ.გრანელი. რჩეული, თბილისი, 1988

THANATOLOGICAL MOTIFS IN FICTION

Maia Kardava

Doctor of Philology, Shota Meskhia State Teaching
University of Zugdidi, Associate Professor
E-mail: kardavamaiko47@gmail.com

*Presented by the Institute of Georgian Language and Literature named after Professor
Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

Abstract. Even the wisest and brightest minds are broken when faced with death. No scientific degree or professional certificate can guarantee that we will be able to talk about death openly, delicately, without fear. In science today, we see two different but interdependent processes that develop and enrich human knowledge. There was a differentiation of literature and science, which started in the 19th century with positivism. Today, a modern researcher researches and works in one or more fields and is interested in several objects of research. Since the second half of the 20th century, the integration of scientific knowledge has been taking place, the inter-disciplinary ties have been strengthened. Natural science studies rely on philosophical foundations, looking for existential subtexts, while humanities strive for precision and the formulation of laws. The horizon of knowledge is limitless, but we can stop at the circle that is the most important for humanity. For example, a French historian wrote: "It is enough to study only a few terms that have influenced European life" (Fevre, 1991: 239). What topics and terms, constants and concepts, stories and motives are these? These persistent thoughts, the cornerstones of human mentality, which have been transformed over the centuries: "Man", "Life", "Death", "World", "Time"... Many of them are already the subject of study of anthropology, aesthetics, cultology, sociology. This work is dedicated to one of these topics - "death" and one of the disciplines - thanatology.

Keywords: *Thanatology, thanatological literary studies, semiotics, Terenti Granelli, existentialism.*